შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია

ლითონის სივრცითი კარკასის კონსტრუქციების (ლოტი III) შესყიდვა

ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაცია

წინამდებარე დოკუმენტაცია შედგენილია 2017 წლის 9 მარტის საქართველოს მთავრობის №120 დადგენილებით დამტკიცებული „შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის“ საფუძველზე.

თბილისი

2017 წელი

1. **<u>შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:</u>** **1 237 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით;**
2. **<u>შესყიდვის ობიექტი:</u>** **დანართი №1**

შესყიდვის ობიექტის დასახელება და მახასიათებლები	ერთი კონსტრუქციის წონა	კონსტრუქციების რაოდენობა/ განზომილება	ერთი ტონის ფასი დღგ-ს ჩათვლით	საერთო ფასი დღგ-ს ჩათვლით	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი	მოთხოვნილი ავანსის პროცენტული ოდენობა (მოთხოვნის შემთხვევაში)
ლითონის სივრცითი კარკასის კონსტრუქცია დაფარული ანტიკოროზიული გრუნტით *<u>(დანართი №5-ის შესაბამისად)</u>*	46,25 ტონა	7 ცალი			4.1 პუნქტის შესაბამისად	4.2 პუნქტის შესაბამისად EXW მიმწოდებლის ქარხანა/საწყობი მდებარე _____	

<u>შენიშვნა:</u>

- *საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში;*
- *შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო, მის მიერ 4.1 პუნქტით განსაზღვრული მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, საერთო სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.*

3. **<u>წინადადების ფასი:</u>**

- წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. წინადადების ფასი შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) მითითებული უნდა იქნეს **დღგ-ს ჩათვლით;**
- ხარჯები, რომლებიც წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;
- წინადადების ფასად განიხილება სისტემის მეშვეობით შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შესაბამის ველში დაფიქსირებული ფასი;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს ელექტრონულ პროცედურაში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასს;
- პრეტენდენტის მიერ დაშვებული მექანიკური შეცდომა, როგორიცაა არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება, სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა, შესაძლებელია შესწორდეს დაზუსტების გარეშე, ერთეულის ფასის უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული არ აღემატება სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ ფასს;
- გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდება ეროვნულ ვალუტაში;

4. <u>შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი:</u>

4.1 მიწოდების ვადა:

- პრეტენდენტს ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-17 კალენდარულ დღეს მოწოდებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 (ერთი) ცალი კონსტრუქცია;
- პრეტენდენტს ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-40 კალენდარულ დღეს მოწოდებული უნდა ჰქონდეს ჯამში არანაკლებ 4 (ოთხი) ცალი კონსტრუქცია;
- პრეტენდენტს ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-60 კალენდარულ დღეს საქონელი მოწოდებული უნდა ჰქონდეს სრულად.

4.2 მიწოდების ადგილი: მიმწოდებლის ქარხანა/საწყობი, რომელიც არ უნდა იყოს 40 კმ-ზე მეტი მანძილით დაშორებული სოფელი ვაზიანიდან. (შესასყიდი საქონლის სრული მოცულობა განთავსებული უნდა იყოს ერთ მისამართზე მდებარე ქარხანა/საწყობში, საქონლის დატვირთვა უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა).

5. <u>ანგარიშსწორების პირობები:</u>

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქონლის სრულად მოწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. დასაშვებია **ავანსი სახელშეკრულებო ღირებლების არაუმეტეს 50% ოდენობით;**

5.2 ანგარიშსწორების დროს ავანსის გამოყენების შემთხვევაში, მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს გარანტია საავანსო თანხის სრულ ოდენობაზე, მხოლოდ საქართველოს რეზიდენტი საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულებიდან, რომლის მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების განხორციელების საბოლოო ვადას (არარეზიდენტი პირებისათვის დასაშვებია უცხოური ბანკის მიერ გაცემული გარანტია, რომელიც დამოწმებული უნდა იქნას საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების მიერ) (დანართი №4-ის შესაბამისად, არსებითი პირობების დაცვით).

6. <u>სხვა მოთხოვნები:</u>

6.1 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი წინადადება;

6.2 ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პრეტენდენტის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა);

6.3 წინადადება ძალაშია შემდეგი სტატუსების დადგომამდე: შესყიდვის ელექტრონული პროცედურა დასრულებულია უარყოფითი შედეგით, შეწყვეტილია, ან ხელშეკრულება დადებულია;

6.4 შემსყიდველ ორგანიზაციასა და მომწოდებელს შორის ნებისმიერი მიმოწერა/შეტყობინების გაგზავნა ხდება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით და სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა/შეტყობინება სავალდებულო არ არის. მიმოწერა/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.

6.5 დოკუმენტაციით მოთხოვნილი, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ყველა დოკუმენტ(ებ)ი წარმოდგენილ უნდა იქნეს **ქართულ ენაზე**; დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

6.6 დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი," ,,ანალოგი" ან „ეკვივალენტური";

7. <u>პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:</u>

7.1 მონაწილეობის საკომისიოს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი **450 ლარის** ოდენობით, რომელიც გადახდილი უნდა იქნას შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია" **ს/კ: 205140257**, სს „თი ბი სი" ბანკი, ბანკის კოდი: **TBCBGE22** ანგარიშის ნომერი: **GE70TB7761136050100001 GEL** (გადახდის დანიშნულებაში სასურველია მითითებულ იქნეს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის განცხადების ნომერი);

7.2 შესყიდვის ელექტრონული პროცედურის წინადადების უზრუნველყოფის გარანტია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 5%-ის **(61 850 ლარი)** ოდენობით (საბანკო, ან სადაზღვევო დაწესებულებიდან), რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 120 კალენდარული დღე წინადადების მიღების დაწყების დღიდან (დანართი №2-ის შესაბამისად, არსებითი პირობების დაცვით);

> **შენიშვნა!!!:** იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტს წინადადების ვადის დასრულების დროისათვის არ ექნება ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნათა სრული დაცვით ატვირთული მონაწილეობის საკომისიოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და გარანტია, პრეტენდენტის შემოთავაზება არ განიხილება და კომისიას შეუძლია მიმართოს წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს.

7.3 ფასების ცხრილი დანართი №1-ის შესაბამისად, **შენიშვნის** პუნქტებზე თანხმობის მითითებით;

8. <u>შემსყიდველ ორგანიზაციაში დედნის სახით (ხელზე) წარმოსადგენი დოკუმენტაცია:</u>

8.1 ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი ვალდებულია შესყიდვის ელექტრონული პროცედურის წინადადებების მიღების დამთავრებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველ ორგანიზაციაში (მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16ᵃ) წარმოადგინოს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის წინადადების უზრუნველყოფის 5%-იანი გარანტია (ქვეპუნქტი 7.2.);

8.2 დაკორექტირებული ფასების ცხრილი, შემსყიდველის მიერ სისტემაში ატვირთული წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად;

8.3 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, შემსყიდველის მიერ სისტემაში ატვირთული წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

> **შენიშვნა!!!:** პრეტენდენტის მიერ დედნის სახით წარმოსადგენი დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობის შემთხვევაში კომისია მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

<u>9. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია:</u>

9.1 გამარჯვებულად გამოვლენის შემდეგ, პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს უპირობო, გამოუთხოვადი გარანტია, სახელშეკრულებო თანხის 5% ოდენობით (საბანკო, ან სადაზღვევო დაწესებულებიდან), რომლის მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების საბოლოო ვადას (არარეზიდენტი პირებისათვის დასაშვებია უცხოური ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია, რომელიც დამოწმებული უნდა იქნას საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების მიერ) (დანართი №3);

10. <u>ინფორმაცია ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეთათვის:</u>

10.1. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება წინადადებების მიღების ვადის დაწყების ეტაპიდან წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე;

10.2. დაინტერესებულმა პირმა შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად უნდა გადაიხადოს ელექტრონულ შესყიდვებში მონაწილეობის საფასური (50 ლარი) ელექტრონულად (სისტემის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად);

10.3. ზემოაღნიშნული 10.1. და 10.2. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელების შემდეგ პრეტენდენტი ვალდებულია ატვირთოს **(მხოლოდ სისტემის მეშვეობით) ამავე დოკუმენტაციის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ასატვირთი დოკუმენტები**;

10.4. ამ პუნქტის 10.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვის შემდეგ პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს წინადადების ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას, ან უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე სულ მცირე ერთი ბიჯით ნაკლები.

11. <u>საკონტაქტო ინფორმაცია:</u>

11.1. საკონტაქტო პირი: ქეთევან საბაშვილი, ტელ.: 593353937, e-mail: k.sabashvili@scc.ge;

დანართი №2

ელექტრონული პროცედურის წინადადების უზრუნველყოფის გარანტია
(ნიმუში)

იმის გათვალისწინებით, რომ ---------- (შემდგომში „პრეტენდენტი“)
(პირი, რომელზეც გაიცემა საგარანტიო წერილი)

მზად არის წარმოადგინოს თავისი წინადადება ---------- კომისიის
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

მიერ ---------- შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ პროცედურაში
(შესყიდვის ობიექტის დასახელება)

მონაწილეობის მისაღებად, ჩვენ ---------- (შემდგომში „ბანკი“) ვადასტურებთ,
(ბანკის დასახელება)

რომ ვიღებთ ვალდებულებას ---------- (შემდგომში „შემსყიდველი“)
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად ვუზრუნველყოფთ შემსყიდველისათვის

---------- გადახდას შემდეგ შემთხვევებში:
(თანხა გამოსახული ციფრებით, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

1. თუ წინადადების წარდგენის შემდეგ პრეტენდენტმა უარი განაცხადა ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობაზე, თავისი წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს შემსყიდველთან „საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“ საფუძველზე შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო;
4. თუ პრეტენდენტმა შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში არ წარმოადგინა ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია.

გარანტია ძალაში რჩება ---------- მდე *
(თარიღი)

**გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 120 დღე ელექტრონულ პროცედურაში წინადადებების მიღების დაწყების დღიდან.*

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ შემსყიდველის მოთხოვნაში მითითებული იქნება რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევის (შემთხვევების) დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა. შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე ბანკს წარედგინება გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე.

(ხელმოწერა)

---------- ------- ---------- 2017 წ.
(სახელი, გვარი, თანამდებობა) (თარიღი)

დანართი №3

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(გარანტია)

<u>ნიმუში</u>

(შემსყიდველის დასახელება) (დასახელება)

ვის:_____შემდგომში“მიმწოდებელმა” _____ ელექტრონულ პროცედურაში

წარდგენილი თავისი წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის (მიმწოდებლის) სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის (მიმწოდებლის) სახელით საერთო თანხაზე (თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვებით) _____ ლარი და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის (მიმწოდებლის) მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე.

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი თხოვნა ან პრეტენზია, წარმოდგენულ უნდა იქნეს გარანტიის ვადის გასვლამდე _____*(გარანტის დასახელება/ფილიალი, მისამართი)*_____.

გარანტია ავტომატურად უქმდება

- გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

<u>წინამდებარე გარანტიის მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების საბოლოო ვადას.</u>

დანართი №4

საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა

(ნიმუში)

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმდა *(ხელშეკრულების ნომერი და თარიღი)* ხელშეკრულება (შემდგომში ”ხელშეკრულება”), რომლის თანახმადაც პრინციპალმა უნდა განახორციელოს *(შესყიდვის ობიექტის დასახელება)* მიწოდება/შესრულება. ზემოხსენებული ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულია წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების _____ % ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი წარუდგენს ბენეფიციარს გარანტიას მოთხოვნილი ავანსის თანხაზე ანუ *(თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად)* *ლარზე.*

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი ვერ შეასრულებს ხელშეკრულების პირობების თანახმად ნაკისრ ვალდებულებებს, გარანტი კისრულობს გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე აუნაზღაუროს მას ნებისმიერი თანხა ან თანხები, მაგრამ არაუმეტეს ჯამში *(თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად)* ლარის ოდენობით.

*გარანტიის მოქმედების ვადა არის: *(კონკრეტული თარიღი)* შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი თხოვნა ან პრეტენზია, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იყოს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე შემდეგ მისამართზე: *(ბანკის დასახელება/ფილიალი, მისამართი)*.

მოთხოვნა ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა, ციფრობრივად და სიტყვიერად და ის გარემოება, რომლის გამოც ხდება მოთხოვნის წარმოდგენა.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

<u>*წინამდებარე გარანტიის მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების საბოლოო ვადას.</u>